

1923 წ.

769

№ 6

საქართველოს  
ბავშვთა ჟურნალი

# საბავშვო ჟურნალი



საბავშვო ჟურნალის გამომცემლობა.

# ქართული

საქართველოს  
საქართველოს

წელიწადი 80-XIX. № 6—7      ივნისი და ივლისი 1923 წ.



24  
247

ზ ა ფ ხ უ ლ ი



## შ ი ნ ა ა რ ს ი :

1. ზაფხული სურათი . . . . . 1
2. სუმბული, — ლექსი მიმქრალისა . . . . . 3
3. ცელქი ნუნუ, — ცქვიტისა . . . . . 4
4. ცელქა და ავტომობილი, — დანისა . . . . . 7
5. ჩემს სუსხანას, — ლექსი საფო მგელაძისა . . . . . 12
6. ილიკო ნაკაშიძის ხსოვნას, — ივ. ელიაშვილისა . . . . . 14
7. ნატვრა, — ლექსი შიო მღვიმელისა . . . . . 18
8. ჯადოსანი წყებლა, — პიესა ორ მოქმედებად, პროლოგით,  
თარგ. ნ. ნაკაშიძისა . . . . . 20
9. თაგვი, ყვავი, კუ და შველი, — ოსმალ. ზღაპარი,  
თარგ. ილ. სიხარულიძისა . . . . . 37
10. მწყერი, — პავლე საყვარელიძისა . . . . . 45
11. ციციუნია, — სიმღერა. მუსიკა თამარ შავერზაშვილისა . 47





## სუმბული.



უმჯობეს თავებს  
ათავთავებს,  
ელიძება ირგულივ ვეელას.  
თავს მამრადებს,  
ნაბავს თვალებს:  
არ მოსწევიტო შენსა ღხენას!  
ჩემს ბაღჩაში,  
ვით ლურჯ ტბაში,  
იხატება მისი სახე.  
დილის მკრთალი ჭივარის შუბი  
მის ტუჩზე თვლემს... მოდი ნახე  
მიმკრალი.





## ცელი ნუნუ.

სასლში ჯერაც არ დაწუნარებულან. ნუნუს ბებია ცოცხით დაღუწილ ჩაის ჭურჭელს აკროვებს. ჭურჭლის ნამტვრევები სხვადასხვა სმაზე წკრიალობენ.

ბებერი დაგუბებულ ჩასრიალსავით ბუტბუტობს და აქანდაზსე უმტვერო ნაკავსა ჭკრებავს.

— აი, დასწეველოს დმერთმა! ეს რა არის, თქვენი ჭირიძე, ბავშია, თუ ალქაჯი?!... ლამის ეველაფერი დაგვიღუწოს, დაგვინგრიოს... ნეტავი მოვკვდე და აღარ ვიყო! ან ჩართოთ დავლიოთ, ან წყალი! ამ ჯოჯოხეთურ ეამს ერთი ჯამიც კი არსად დაგვიუნა ამ სამაგელმა, ამანა!

ნუნუმ იცის, რომ იმაზე ჯავრობენ, სადღაც კუთხეში მიმჯდარა, ჰირისასე კუთხეში მიუძალავს და სულგანაბული ზის.

ნუნუმ მხოლოდ ექვსი თვეა, რაც ფესი აიღვა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მართლაც რომ მთელი ოჯახსი აიკლო.

მაგრამ ვისი ბრალია? ნუნუს კარედ ეოფნა ძლიერ უგვარს, დედის სახელთან ერთად მან მზის სახელიც უცებ ისწავლა,



რადგან მზე ძლიერ უეგარს, ძლიერ... როცა მზეს სედავს, თქვენი  
 ზივით ფრთხილობს, ჭეიზინობს, დახტის, — ზაწია თითით  
 ზევით აწეული უცქერის და ჭეივილით გაიძახის: „დედა  
 მზე! დედა, მზე!“..

მაგრამ ნუნუს გარედ არ უშეებენ. მას წითელა სჭირდა  
 და შეძვევ სშირად ავად სდება. სან ება უსივდება, სან ღამ-  
 დამობით სიცხეს ამღვეს და ახველებს. ამ გაციებას კი დედა  
 იძახს აწერს, რომ ნუნუ სშირად ერთი ზათქით და ბრახუნით  
 უცებ კარებს გამოაღებს და უქუდოდ და უზალტოდ გარედ  
 ტყვიასავით გარბის. შეიქნება ერთი ჭეივილი და სისარული,  
 მაგრამ ამ დროს ნუნუს ვინმე გაჯავრებით უკან დაედევნება  
 და მისი წუთიერი სისარული ფეხების ქნევად და ღრიალად  
 გადაიქცევა. დიდი ხანი არაა, რაც მამამ კარებს სახელდა-  
 სელო გადმოსარაზი გაუკეთა და ნუნუ სახლში ტუსადივით  
 მოემწეუდა.



ამას შეძვევ სახლში ბეური დავიდარაზა დატრიალდა.

საათი ისე არ გავა, რომ გულგახეთქილი ბებრის „უი, წემ თვალებს“ არ გაისმას.

აი, დღესაც, დილა ადრიან, ბებია და დედა სამხარეულოში გავიდენ, მაძა ზურის საუიდლად იყო წასული, ნუნუ საწოლის გვერდით ხის კვერცხებითა და წუმწუმის კოლოფებით ერთობოდა.

სასლში სიწუნარე რომ ჩამოვარდა, მან აქეთ-იქით მიმოიხედა და სუფრა გადაშლილ მაგიდაზე ჭურჭელი და მაქარი შეაძინა. უცებ წამოხტა, მაგიდას სან აქედან მოუარა, სან იქიდან, ქანდარაზე შესახტომ ქათამივით კისერი მრავალ ნაირად გაიძაბ-გამოიძაბა, მაგრამ მაგიდას მაინც უფრ შესწვდა.

დიდი ხენეშა და დავიჯარაბა დასჭირდა, ძვრამ ვერც ტახტზე აცოცდა, ბოლოს მაგიდას ერთსელ კბდევ შემოუარა და ერთ კუთხესთან განგრდა. ქურდულად აქეთ-იქით მიმოიხედა და სუფრის ბოლოს ხელი ნელა წაავლო...

მაგიდას ნაწირიდან ჭიქამ ნუნუს შემოდან წკრიალა თვალებით გადმოხედა...

ნუნუ სისარულით გამტერდა.

მაშ მაქარიც მალე გადმოსცინებს.. ის ისეთი კეთილია, ისეთი ტკბილია, რომ იქნება ძირსაც ჩამობრძანდეს...

ნუნუმ სუფრის კუნჭულს უფრო მაგრა ჩაბლუჯა ხელი, ერთი ღონივრად, სწრაფად გადმოითრია და...

სასლი აივსო წკრიალით, ხმაურობით, გრიალით.

ნუნუ შეკრთა და განზე გავარდა.

სასლის კარებში გულგახეთქილნი და შიშისაგან თვალებდატყეპილი დედა და ბებია თაფ-პირის მტკრევით შემოცვინდენ.



## ცელქა და ავტომობილი.



სელქა, ცელქა, შენი ჭირიმე, შესედე, რა ღამასი, მწვანე ბალახია! უეურე, რამდენი გვირღილებია! აი, დიდი გვირილა, შესედე, რა ნაირია! ერთი, ორი, სამი... სულ ცამეტია. აბა, უსუნე... უჰ, შე ცელქო, შენა! რად შემიჭამე, რად? რა მიუუტანო ახლა დედას?—ასე ელაპარაკებოდა 12 წლის მათია თავის ცხენს, რომელიც ორი საათია, რაც გამოეყვანა საჯინიბოდან საბაღახოდ.

ცელქაც (ასე ერქვა ცხენს) თითქოს მიხვდა თავის დანაძაულს, თავი კვერდზე დახარა და ბოდვიან ნიძნად დაიჭიხვინა. მათიამ ქოჩორზე სტაცა ხელი და ერთი-ორჯერ თავისკენ გამოსწია. ეს მალიან ესიამოვნა ცელქას. მას უეუარდა მათია იპიტომ, რომ მას არაოდეს არ ავიწუდებოდა ცელქასათვის დროზე მიეტანა საჭმელი ან წყალი, მეორე—სულ მუდამ ეალერებოდა. აი, ახლაც გამოიყვანა საბაღახოდ, როდესაც მას სახლში ამხანაგები სიხარულით ელოდენ სათამაშოდ. აგერ მ წელიწადი იქნება, რაც მასზე მარტო მათია ჯდებოდა და ერთად დასეირნობდენ. ისიც ახსოვს, როდესაც მათიამ ნაღრმობი ფეხი მოურჩინა. „რა

გულკეთილია მათია! როცა ახად იყო, მასთან იწვა საჯინობოში და თვს ევლებოდა, როგორც დედა შვილს. მართალია, ერთხელ რაღაცაზე გაბრაზებულმა მათიამ წკეპლა გადაჭკრა, მაგრამ, სამაგიეროდ მათია მთელი ორი დღე ნანობდა და საბოდიშოდ იმდენი საჭმელი მოჭკონდა, რომ ცელქა ვეცდ კი ასწრებდა მის შუკმას. რამდენჯერ მაქარი მოუტანია, თავის წილს იკლებდა და მისთვის მოჭკონდა. ისიც ახსოვს ცელქას, თუ რამდენს ეხვეწებოდა მათია თავის მამას, არ გაევიდა ცელქა და მამამაც შეასრულა მათიანს შუდარა.



— აბა, ცელქა, ახლა ცოტას გავისვირნებთ, კარგი? დამაცალე, რა არის, რას ეძმაკობ! ხვალ აღარ წამოგიკვივან, აი, იცოდე!—ცელქა თითქოს მახვდა მათიას სიტყვებს. წუნარა დადგა და, როდესაც მათია შეახტა ზურვზე, გაჭკურცხლა მინდორში.

— ჰაუ, ჰაუ! უფრო მარდად, უფრო ჩქარა, ჩემო ცელქა! უფრო! უფრო! ჰაუ, ჰაუ! აი ასე! მოიცა, ეს რა არის? შეხე, ცელქა, ეს ავტომობილია? შეხე, მამა! მამიკო, მამა! ჩქარა, ჰაუ!—მიანქარებდა მათია ცელქას.

ცელქამ მოუჩქარა და კვანც გადაუჭრა ავტომობილს. ავტომობილი გაჩერდა.

— მამიკო, მამიკო! რატომ ჩამოდი ასეადრე? დედამ სთქვა, რომ შენ მხოლოდ ერთი თვის შემდეგ ჩამოსვალ. ჩემო მამიკო, ჩემო! რა ჩამოძიებანე?

— მოიცა, შვილო, მოიცა, შენ არც კი მაცლი, რომ ხეირიანად გაკოცო. — შემდეგ მამა მიუბრუნდა მოყვრს—აბა, წავიდეთ!

ავტომობილი ამუშავდა და სისწრაფით გაეშურა სოფლისაკენ.



იმ დღეს ბევრი იმხიარულა ჩვენმა მათიამ, ბევრი ასალი ამბავი გაიკო და ბევრი ტკბილეულობა მიირთვა.

ცელქა? ცელქა კი რას აკეთებდა ამ დროს? დავიწვიებ იქიდან, როდესაც მათია ავტომობილში შესტა.

— რატომ არ შემომხედა მათიას მამამ? ალბათ ძალიან უხარია შეილთან შესვედრა... მაგრამ მათიამ კი, მათიამ?... არაფერი უთხრა! დასტოვა ცელქა მარტო! თავჩაქინდრული, ნელი ნაბიჯით გაეპურა შინისაკენ. ნელა შევიდა საჯინიბოში და ფიქრებს მიეცა: „რა სძაბველია, რა ტლანქია ეს ავტომობილი, როგორ სძაურობს. ხანდახან როგორ უშნოდ დაივირებს სოღმე — „ოოო, ოოო!“ ერთგვარად, ერთ ხმაზე... ცხენი არაოდეს არ დაივირებს აგრე. ცხენის ვვირილი სულ სხვანაირია: როცა უხარია, ჭიხვინებს, როცა საფრთხე მოელის, ფრუტუნებს, ავტომობილი კი ერთგვარად ღრიალობს. ის ვერ კრძნობს ვერც სინარულს, ვერც სიბრაზეს, ვერც საფრთხეს, მაშასადამე მას კრძნობა არა აქვს. ჩანს, ის არ ეკუთვნის სულდგმულებს. ეს კი მართალია, რომ ბოლოს და ბოლოს, თუ ავტომობილები გამრავლდა, მაშინ სომ სულ გაუთავისუფლდებით. ტყეში და მინდორში თავისუფლად ვინაჯარდებთ...

რატომ არ მოაქვს მათიას ქერი?

უკვე ბნელდება... ძალიან მოშივდა ცელქას... ნუთუ სულ და ვავიწვიდი მათიას! მთელი დღეა, არ შემოუხედავს მათიას. ახლა მას უფრო მეტი სინარული აქვს, ვიდრე ცელქასთან ეოფნა. ახლა მათიას ცელქა აღარ სჭირია, ის ავტომობილში ჩაჯდება და ისეირნებს... მე კი, მე... და ცელქამ თავი ჩაქინდრა, ასე გეგონებოდა სატირლად ემზადებო.

— ცელქა, ცელქიკო, უკაცრავად! სწავალი, სულ დამავიწყდა, სულ. მაპატიე, აღარ ვიხამ. აი, მაქარი ჭამე!.. რატომ

არა სჭამ? შენ გიტირია? მეტად აღარ ვიზამ. საწუელი ცელქა!  
 აი, ხორბალიც! მანატრე? აი, რა კარგი ხარ. აი, უოჩად! სამაგი-  
 ეროდ ხვალ სულ შენთან ვიქნები. მამასაც მოვიყვან. ჭამე,  
 ჭამე, გენაცვალე! ასე, ასე ჩემო კარგო!



— მათია, მათია! — მოისმა მათიას დედის სმა.


— მოვდივარ, დედიკო, მოვდივარ! — მათია მივარდა ცელქას და აკოცა ნესტოებსა და თვალს შუა, მერე უფრო გადაუწია და ჩახურჩულა: — იცი, ცელქა, მე ავტომობილი აღარ მიყვარს, შენ უფრო კარგი ხარ.

ჩიღევ აკოცა და საჯინბოდან გავარდა.

ნახევარ საათს შემდეგ მათიას სახლში და ცელქას საჯინბოში მაგრა ემინათ.

დანო.






## ჩემს სუსანას.



იშპრად გხედავ, გულში მეკვრი,  
 და აღერსი შენი წმინდა  
 სულით ძალხენს, დამტიტინებს,  
 დედა მიუვარს, დედა მინდა!  
 რა თვალს ვახელ, გონს მოვდივარ,  
 ძავი ფიქრი სისხლს მიეინავს:  
 შენი სუნთქვა აღარ მესმის...  
 ჩემთან ახლოს აღარ გმინავს!..  
 იქნება შენს ჰატარა გულს  
 აწუსებდეს რამე სევდა?  
 ნუ მოიწვენ უჩემობით,  
 გენაცვალოს შენი დედა!  
 მოვრჩები და ჩქარა მოვალ,  
 შენთვის ვიკრებ ღონეს, ძალას...  
 ჩამოგიტან წითელ ბურთებს  
 და ლურჯთვალა დედოფალას.

საფო მგელაძე.



ილიკო ნაკაშიძე  
დაიბადა 1866 წ., გალიცვალა 1923 წ. 26 მაისს.



## ილიკო ნაკაშიძის ხსოვნას.

„ნაკადული“-ს მკითხველს ეველას კარგად უნდა ახსოვდეს მისი სახელი, იმიტომ რომ ის ხშირად სწერდა ამჟღერნალში. ზოგჯერ აწერდა თავის სახელსა და გვარს და ბევრჯერ კი არ აწერდა. ხოლო უმთავრესად ილიკო იმიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ ის იყო დიდი მეგობარი მოზარდი თაობისა. ილიკო იყო სიუვარულის განსახიერება. იმას უუვარდა არა თუ ადამიანი, არამედ ეველა ის, ვისაც კი სიცოცხლის ნიშან-წყალი აბადია. მწერი რა არის, ჭიანჭველა, ისიც კი უუვარდა ილიკოს და, რითაც შეეძლო, მუდამ მუარველობას უწევდა და სასურველად გულს უხსნიდა. ადამიანი ხომ რა სათქმელია!

ილიკო, საზოგადოდ, ეოველისავე ძალმომრეობის წინააღმდეგი იყო მთელი თავისი არსებით.

ჩემს დღეში არ დამავიწყდება ერთი ამბავი: ბავშები ჰყველებს დასდევდენ, იჭერდენ კოლექციისათვის.

მიდის ილიკო მათთან და გაუბამს საუბარს.

— რისთვის იჭერთ ამ შენიერ ქმნილებებს, რატომ უსწობთ სიცოცხლეს?

— კოლექციისათვის.

— მერე არ გეგმობთ?

— რატომ უნდა გეგმობდეთ, როცა ეველანი იჭერენ?

— იმიტომ, ჩემო მეგობრებო, რომ ზეპლასაც ისევე სწეურია სიცოცხლე, როგორც თქვენ, იმასაც ისე უყვარს ევაველები, სუფთა ჭაერი, მზის მუქი და მთელი ბუნება, როგორც თქვენ.

— იმას სომ გრძნობა და ჭკუა-გონება არა აქვს ჩვენ-სავით?

— რატომაც არა. გრძნობაცა აქვს და ჭკუა-გონებაც.

— კარგი, და ჩვენ სომ მას არ ვაწვავლებთ, ერთბაშად ვუბძირავთ გულს მასათით.

— თქვენც რომ ვინმემ აგრეთვე გაგიბძიროთ გული მასათით, მაშინ რას იტყვით?

— არ შეიძლება, ჩვენ ადამიანები ვართ.

— ჯო და ისევე არ შეიძლება მწერისა და ცხოველის მოკვლაც...

ბევრი ამგვარი უამბო ილიკომ თავის ასაღ მეგობრებს, ბევრი სხვა საინტერესო ამბებიც მოუყვა, დაიძვობრა და დაარწმუნა, რომ მკვლელობა სასოგადოდ საზიზღრობა და ველურობა არისო.

ბავშვებმაც ჰირობა მისცეს, ამას იქით მკვლელობას აღარ ჩავიდნთო და ცქრიალ-კისკისით წავიდ-წამოვიდნ.

ილიკო ნამდვილი ფუტკარი იყო. მუდამ დაფრინავდა და სასრდოს ეძებდა. მერე იცით, რა იყო მისი სასრდო? ბავ-

შებთან საუბარი, მათი გონივრული გართობა. ასეთ შემთხვევაში თვით ილიკოც ბავში იყო. სრულ ბავშვის ენით, გულუბრვეილობითა და სიმარტყივით იყო დაჯილდოებული და ამიტომაც მას ბავშვები ზირველს დანახვასედევე ეთვისებოდენ და, გაიცნობდენ თუ არა, მისი მოძორება აღარ უნდოდათ.

სალამურცი კი მუდამ ჯიბეში ჰქონდა ილიკოს ბავშვების გასართობად. ამოიღებდა უბის ჯიბიდან სალამურს, გამოაღებინებდა მშობლიურ მკენესარ ჰანკებს და თან სამხიარულოსაც მიაუოლებდა. შემდეგ ბავშვების თამაშობაში ჩაერთოდა და, რომ ჭადარა არა, თვითონაც ბავში გეკონებოდათ, ისეთი აღტაცებით იზიარებდა ბავშვების სიხარულს. ამასთან ჩვენი ილიკო ფრიად განათლებული კაცი იყო. იგი ვეკლასათვის სასიამოვნო ადამიანი იყო და მასთან დიდად საინტერესო. მას მხოლოდ ის სწავლა-მოძღვრება მიეჩნდა, რომელიც ადამიანისთვის უშუალოდ სასარგებლოა. ისეთს ცოდნას მისდეუდა, რომელიც დღესვე გამოსაუენებელია ადამიანის ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

მასწავლებელთა წრეში, ისე როგორც ეოვლისავე დარკის მოღვაწეთა წრეში, ისეთივე გულუბრვეილო, მომხადებული და დაუდალავი მქადაგებელი იყო საერთო სიყვარულისა და სიბრალულისა, როგორც ბავშვთა კრებაში. ამ სიყვარულს ილიკო ემსახურებოდა წერითაც და ზეპირი სიტყვითაც და, აი, ასეთი მეკობარ-მოჭირნასულე და ჰკარგა ჩვენმა ჰატარა ერმა.

ხოლო ილიკოს სული, მისი საუოველთაო სიყვარულსიბრალულისა სედა მოძღვრება მუდამ ცოცხალი იქნება ჩვენში და მუდამ მოკვაკონებს მის ტკბილს ენასა და კალამს.

თუცა, სასოკადოდ, იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელსაც მეგობრებთან ერთად შტერიც არა ჰქუადეს, მაგრამ ილიკო სწორედ ასეთი ადამიანი იყო. ასეთი იყო იმიტომ, რომ ის თავის დღეში ადამიანზე არც ფიქრობდა ცუდად და არც ამბობდა. ეკვლას ახდელისა და მოსიუვარულე გულით ეგებებოდა და თვით სწეობრივად დაცემულ კაცის გულშიაც გულმოდგინედ ეძებდა ისეთ კუნჭულს, სადაც ოდნავ მაინც ბეუტავდა სიუვარულ-სიბრალულის ნაპერწკალი. აქ ის დასვლოვნებული ოსტატის ნიჭითა და მოხერხებით ახდენდა სასწაულს: სწეობრივად გადაგვარებულ ადამიანს უღვიძებდა კეთილშობილ გრძნობებს. ამიტომ ილიკოს ხსენება მსოლოდ და მარტო ბრწუინვაღა.

მისი მოსიუვარულე გული ჩვენ გულთან არის გადაბმული, მისი კეთილშობილი გრძნობები ჩვენს გრძნობებშია ჩაქსოვილი.

ამიტომაც არის ილიკო ნაკაშიძე უკვდავი და მისი ხსოვნა სასეტარო.

მივდიოთ, მაშასადამე, მის სიუვარულ-სიბრალულის უკვდავ მოძღვრებას, სამუდამოდ ამოვიფხვრათ გულიდან შური, მტრობა, შეუბრალელობა და ეოველგვარი სიბოროტე და ამით საუკეთესო ძეგლს აუგებთ ჩვენს ილიკოს ძვირფას ხსოვნას.

ივანე ელიაშვილი.





## ნ ა ტ ვ რ ა.

(ლიდია კახეთელიძის ხსოვნას).



ნეტამც კი ია ლამაზი  
ადრე მოსული ველადა  
არა ჭკნებოდეს, ქრებოდეს  
მოულოდნელად, სელადა,

ნეტამც კი ია ნახარდი  
სათუთად მწვანე ველზედა  
დიდხანს რჩებოდეს, ტკბებოდეს  
მზისგან ჩამოძლილ ქსელზედა.

ნეტამც კი... მაგრამ ჩემს ნატვრას  
და გულის უკვდავ სურვილსა  
ეურს არვინ უკდებს არასდროს  
და არც ვინ მიკლავს წეურვილსა:

რომ ერთსელ მაინც მადიროსონ  
ია გაძლილი ველზედა,  
ბოლომდის დარჩენილიყოს  
მშობლის გულსა და მკერდზედა.

ასე მოუყევე ველ-მინდვრებს,  
 გულმაც იკვნესა, იომა,  
 და მანც მათგან მოგართვა  
 ეს ია მია შიომა.

მე კი არ მომიწუვებია,  
 გულით გამოძევა თავადა,  
 რომ შენს საფლავსე აევადეს  
 ისევ შენს მოსართავადა.

მიიღე. ჩემო კეთილო,  
 ია მოსული მაცველადა,  
 ტოლების სასიხარულოდ,  
 არა გულდასაწველადა.

შიო მღვიმელი,





# „ჯადოსანი წიგნა“

ორმოქმედებიანი პიესა პროლოგით.

მ რ მ კ მ ე ღ ნ ი:

პროლოგისა.

პიესის

- |                                                                                                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <ol style="list-style-type: none"> <li>1. თეატრის დამლაგებელი</li> <li>2. წალის მწმენდელი</li> <li>3. თხილის გამყიდ. ბიჭი.</li> <li>4. მოწაფე ვაჟი.</li> <li>5. მოწაფე ქალი.</li> <li>6. თეატრის რეჟისორი.</li> </ol> | <ol style="list-style-type: none"> <li>1. თედო—12 წლის ბიჭი!</li> <li>2. ბებია.</li> <li>3. დეიდა.</li> <li>4. მეზობელი, ხანში შესუ-<br/>ლი კაცი.</li> <li>5. მართა, მეზობლის ქალი,<br/>10 წლის.</li> <li>6. ნათესავი კაცი.</li> <li>7. წაღებიანი კატა.</li> <li>8. ინდოელი.</li> <li>9. ყაჩაღი ოსმალო.</li> <li>10. შიკრიკები.</li> </ol> |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

## წარმოდგენის წინ პროლოგი

(შეჰოლას თეატრის დამლაგებელი, ხელში ცოცხი უჭირავს)

დამლაგებელი

(პვეის სცენას). კიდევ საბავშო წარ-  
მოდგენაა! რა გამოიგონეს ეს ყოველ კვირას  
ბავშებისათვის წარმოდგენის გამართვა! უწინ  
წელიწადში ერთხელ თუ გავმართავდით სა-  
აღდგომოდ, ან ყველიერში, და მაშინაც იმ-  
დენ დავიდარაბას იწვევდა, რომ . . . უჰ! უბი-  
ლეთოდ მოდიან, სკამებს აურევ-დაურევენ,  
ნავავს ჰყრიან, ხმაურობენ, (ემუქრება ხალხს

ცოცხით). მე თქვენ გაყურებინებთ სერს, დაუდგრომლებო! რა ამბავია, რომ გათენებადმი მოგიყრიათ თავი? წარმოდგენა ჯერ კიდევ როდის დაიწყება, და თქვენ უკვე მოსულხართ!

(შემოდის პატარა წალის მწმენდელი ბიჭი, თან სკამი, ჩოთქები და ვაქსი მოაქვს).

შენ, ეი, თხუბნია, სად მოდიხარ? მუსტაფამ სთქვა, წარმოდგენა იქნებაო და სანახავად მოვედი.

ბილეთი გაქვს? ორი ბილეთი მაქვს. (უყურებს ბილეთებს) გაქვს მაგრამ ორივე ძველია.

ძველი რად იქნება, ახალია; გასულ კვირას თეატრთან ავკრიფე.

ჰო და კარგი. მე რა მენაღვლება, მხოლოდ უფროთხილდი, მებილეთებმა არ გაგადოხ... სცენაზე რაღად ამოსულხარ, ხალხში ვერ დაჯექი?

აქ უფრო კარგად ჩანს. აქ სად უნდა დაჯდე! მე ჩემი სკამი მაქვს. (სდგამს სკამს და ჯდება).

შენ, მგონია, ჩოთქებიც მოგიტანია. აბა, აქ რად გინდა?

წაღებს გავუწმენდ ხალხს. ყველას ქუჩყიანი ფეხსაცმელები აცვია. სადილის ფულს ვიშოვი.

(იციინის) ოჰო, რა ყოჩაღი ყოფილა! წარმოდგენის ნახვაც უნდა და სადილისათვის ფულის შოვნაც.

თხილი, მოხალეული თხილი! ეს კიდევ ვილა მობრძანდა! თხილის სცენაზე გაყიდვა? ორმოცი წელიწადია თე-

დამლაგებელი.  
წალის მწმენდელი.

დამლაგებელი.  
წალის მწმენდ.  
დამლაგებელი.

წალის მწმენდ.  
დამლაგებელი.

წალის მწმენდ.  
დამლაგებელი  
წალის მწმენდ.

დამლაგებელი  
წალის მწმენდ.

დამლაგებელი

ბ ი ჳ ი  
დამლაგებელი

ატრში ვმუშაობ და ამისთანა უწესოება ჯერ არ მინახავს.

**ბ ი ჭ ი**  
დამლაგებელი

თხილი იყიდეთ, თხილი!  
მე შენ გაჩვენებ აქ თხილის გაყიდვას!  
(ავღებს) წადი, აქედან დაიქარგე!

**ბ ი ჭ ი**  
დამლაგებელი

(ბიჭი გარბის კულისების ერთი მხრიდან და გამოჩნდება მეორე მხრიდან).  
(ხალხს) ეი, ბავშვბო, თხილი, მოხალული თხილი! შევნიერი თხილი ვის უნდა?  
(მისდევს ბიჭს სცენაზე. ბიჭი მირბის. შექოღრან მოწაფეები: ვაჟი და ქალი). რა ამბავია, რომ ყველანი სცენაზე მოდიხართ? განა ცოტაა აღგილი დარბაზში?

მოწაფე ვაჟი

ნება მოგვეცით დავრჩეთ აქ. წარმოდგენის დროს ჩუმიად ვიჯდომებით, არავის არ შევაწუხებთ.

მოსწ. ქალი.

ნება მოგვეცით ერთხელ მაინც დავრჩეთ აქ. სცენაზე ისე საინტერესოა. ნუ თუ გაგვაგლებთ აქედან?

დამლაგებელი.

სცენაზე ხომ მარტო მსახიობებია წარმოდგენის დროს, და გარეშე ხალხის შემოსვლა სასტიკად აკრძალულია.

მოსწ. ქალი.

რატომ? ჩვენ მსახიობებს დავეხმარებით, სადმე გაგზავნა თუ დასჭირდათ ვისიმე, ან დაძახება.

მოსწ. ვაჟი.

მე ელექტრონის გასწორება ვიცი, თუ სინათლე ჩაქრა.

დამლაგებელი.

(იციინის) ჩემთვის სულერთია, თუ გინდათ — დარჩით, მხოლოდ რეჟისორი უსათუოდ გაგაგლებთ: იმას ამისთანობა არ უყვარს. (მიდის).

მოსწ. ვაჟი.

(იყურება ფარდის უკან). აბა, შეხედე, ყველაფერი მზად არის.

მოსწ. ქალი.

აჰ, რა შევნიერი ოთახია! (ორივე იყურება ფარდის უკან.).

## წალის მწმენდელი

(მღერის ლექსს).

ქუჩის პირად დაბალ სკამზე  
 ვზივარ თავდახრილი  
 და ვუტკერი ყველას ფეხზე  
 მუდამ მოწყენილი.

ტუკ... ტუკ... აქეთ მოიხედეთ —  
 გაგიწმინდოთ წალა!

აგერ კაცი მძიმე ტვირთით  
 ტრამვაიში ჯდება,  
 ველარ ასწრებს, და ტრამვაი  
 ცხვირ წინ გაუსხლტება.

აბა, ჩემთან, ჩემთან, რაღა! —

გაგიწმინდოთ წალა.

აგერ სიმწრით დედაკაცი  
 ტომრით ფქვილს მოათრევს:  
 ველარ ამჩნევს საცოდავი,  
 გზა და გზა რომ აბნევს.

თუ გწამთ ღმერთი — მოიხედეთ —  
 გაგიწმინდოთ წალა.

იქ, კუთხეში, ვილაც ბიჭმა  
 ქისა მოიპარა...

გაუგეს და დაუსტვინეს,  
 ველარ გაიპარა...

ჰე, შეჩერდით, სად გარბიხართ? —  
 გაგიწმინდოთ წალა.

აგერ სახლის ცეცხლი გაუჩნდა,  
 ალბი აპრიალდა.

წყალი, წყალი! — იძახიან,  
 ეზო აწრიალდა.....

თქვენ რად გარბით? მოიხედეთ, —  
 გაგიწმინდოთ წალა.

დიდ ქუჩაზე მენახშირე  
 ურმით არ გაუშვებს;  
 სწყინს, გაჯავრდა, ილანძღება,  
 სიტყვებს ისვრის უშვერს....

ტუკ...ტუკ...ტუკ...ტუკ. აქვს მისი  
მო, გავწმინდოთ წაღა.

(შემორბის თხილის გამყიდველი ბიჭი).

ბიჭი.

თხილი, მოხალული თხილი!

მოსწ. ვაჟი.

მოიტა აქ ორი ჯამი, ამ ჯიბეში და ამ  
ჯიბეშიც.

მოსწ. ქალი.

თეატრში თხილის ჰამა გაგონილა!?

ბიჭი.

თქვენ, ბატარა ქალბატონო, შოკოლა-  
დის კანფეტები გნებავთ? უკაცრავად, ბო-  
ლიშ ვიხიდი, შინ დამავიწყდა.

წალის მწმენდ.

მართალს ამბობს: აქ არ შეიძლება თხი-  
ლის ჰამა, — უწყსოებაა.

მოსწ. ვაჟი.

აბა, რას ჩამაცივდით ყველანი?! აქ ხომ  
არ დაყური, შესანახავად ვიყიდე. (მოწაფე  
ქალს) კარგი, ნუ ჯაერობ, ერთად დავსხდეთ!  
აქედან კარგად დავინახავთ. (სხდებიან ია-  
ტაკზე, წალის მწმენდელთან).

ბიჭი.

(ჯდება იმათ გვერდით). ჩქარა დაიწყე-  
ბენ ნეტავი წარმოდგენას?

მოსწ. ვაჟი.

თეატრში ყოველთვის დიდხანს უნდა  
იცადო. მსახიობებმა წვერები უნდა დაიწე-  
ბონ და ეს ისე ადვილი კი არაა.

მოსწ. ქალი

განა იმათ ნამდვილი წვერები არა აქვთ?

მოსწ. ვაჟი.

(იციინის). აბა, ეს რაღა თეატრი იქნე-  
ბოდა, რომ მსახიობებს ნამდვილი წვერები  
ჰქონებოდათ! მსახიობებს არაფერი არა აქვთ  
ნამდვილი. თმის მაგივრად იმათ პარიკები  
აქვთ, ცხვირებიც დაწებებულნი.

ბიჭი.

თვალეებიც არა აქვთ ნამდვილი?

მოსწ. ვაჟი.

თვალეები, მგონია, ნამდვილი აქვთ.

წალის მწმენდ.

ხალხი გაცულლუტდა, მაყურებლებს  
ატყუებენ.

მოსწ. ვაჟი.

არა, კი, არ ატყუებენ, განგებ იქცევიან  
ასე, თეატრში ყველაფერს განგებ აკეთებენ.



მოსწ. ქალი.

როგორ თუ განგებ? როდესაც კვდებოდანი  
განა ნამდვილად არა კვდებიან?

ბიჭი.

ეჰე, რას ამბობს. მართლა რომ კვდებოდენ, განა მსახიობები საყოფი იქნებოდა! აი, აქ ერთი გრძელ ცხვირა მსახიობი, მგონია, თეატრში ყოველ საღამოს კვდება, დილით კი მუდამ ქუჩაში ვხვდები. ჩვენს პირდაპირ ცხოვრობს.

წალის მწმენდ.

მე მიყვარს, როცა თეატრში კაცს ჰკლავენ. ხანჯალს გაჰკრავენ და გოგრა გაგორდება.

(შემოდის რეჟისორი)

რეჟისორი.

ეს რა ამბავია, რატომა ხართ აქ? დაიკარგეთ აქედან! (სცენის იქით). აბა, ჩქარა! დროა დავიწყოთ. ნახევარი საათი დავიგვიანეთ. აბა, აიბარგეთ, ჩქარა!

წალის მწმენდ.

დაიცა, ნუ ჯავრობ! გინდა, წალებს გაგიწმენდ, ჭუჭყიანი გაქვს. მერე მადლობასაც მეტყვი. შუშასავით გაგიპრიალია!

რეჟისორი.

(იყურება წალებზე). მაშ, კარგი, გამიწმინდე, წალები მართლა ჭუჭყიანი მაქვს. დრო არა მაქვს, ველარ მოვიცალე (უყურებს საათს). ჯერ არც ისე გვიანაა. ათ წუთს კიდევ მოიცდიან, არა უშავს.

(წალ. მწმენდ. გაცხარებით უწმენდს წალებს).

რეჟისორი.

ძალიან კარგად სწმენდ, ყოჩაღ!

წალის მწმენდ.

ღიად, მე კარგადა ვსწმენდ. რა უნდა წარმოადგინოთ?

რეჟისორი.

შენ რა გინდა, რომ წარმოვადგინო?

წალის მწმენდ.

მე ყაჩაღები მიყვარს, როგორც ზღაპრის სელიამია—ჩალმითა და ხანჯლით.

რეჟისორი.

კარგი, ყაჩაღები იქნებიან.

მოსწ. ვაჟი.

ჩემი აზრით, უფრო საინტერესოა წი-

- თელკანიანი ინდოელები, როგორც ფენიმორ კუპერის წიგნშია აწერილი.
- რეჟისორი.** კარგი, ინდოელებიც იქნებიან.
- მოსწ. ქალი.** მე კი უფრო ჯადოსნური ზღაპრები მიყვარს: აი, მაგალითად, წაღებიანი კატა, მეწისქვილე რომ მარკიზ კარაბასად გადააქცია.
- რეჟისორი.** კარგი, წაღებიანი კატაც იქნება. (ბავშვები განცვიფრდებიან).
- თხილის გამ. ბიჭი.** მე რომ მკითხოთ, ზღაპრები არაფრად არ ვარგა. მე მიყვარს ნამდვილი ხალხის ნახვა თეატრში. ისეთების, რომლებიც ჩაის სვამენ, სტუმრად დადიან, თითქოს შენს ამბავს გელაპარაკებიან.
- რეჟისორი.** კარგი, ნამდვილი ხალხიც იქნება. (წადის მწმენდავს). აბა, მადლობელი ვარ, წაღები რომ გამიწმინდე. ახლა კი, ბავშვებო, წადით აქედან! აბა, ჩქარა აიბარგეთ! ამ წუთში ფარდა აიხდება. (მიდის კულისებში. ბავშვები მიჰყვებიან.)
- ბავშვები.** ამ წარმოდგენას რა სახელი ერქმევა?
- რეჟისორი.** (შეჩერდება) ამ წარმოდგენას ერქმევა „ჯადოსანი წკეპლა“. ორ მოქმედებიანი ზღაპარია. მეტი თქვენთან სალაპარაკოდ აღარა მცალია. გასწით კულისებს უკან! დარეკეთ! ასწიეთ ფარდა!

(ფარდა აიწევა)

### მოქმედება I-ლი.

უბრალოდ მოწყობილი ოთახია. შუაზე მაგიდა დგას. მაგიდაზე ყავადანი, თინჯნები და ფუნთუშები აწყვია.

#### ბებია და ნათესავი

ნათესავი

სალამო მშვიდობისა, ქალბატონო! მოგილოცავთ თქვენი შვილიშვილის დაბადე-



- ბის დღეს! იმედი მაქვს, რომ როდისმე ცნობილი მეცნიერი შეიქნება.
- ბეზია. გამაღლობთ, ბატონო! მხოლოდ სად მეცნიერება და სად ჩემი თედო, გაკვეთილებსაც კი არ სწავლობს, სულ ავაზაკებისა და ველურების ამბებს კითხულობს.
- ნათესავი. ნუ შიშობთ, ქალბატონო, თედოსათვის! ფანტაზია ნამდვილი ნიშანია ცნობის მოყვარეობისა. აი, მე წიგნი მოვუტანე თქვენს თედოს. ამ წიგნში, მართალია, ველურების ცხოვრება არ არის აწერილი, მაგრამ შიგ ბუნების მოვლენათა უდიდესი სასწაულებია შეკრებილი. ამ წიგნს ჰქვია „ბოტანიკურ ბაღში გასეირნება, ანუ ჰერბარის შესადგენი სახელმძღვანელო“.
- ბეზია. დაბრძანდით, ბატონო! ყავა და ფუნთუში მიირთვიეთ!
- ნათესავი. დიდი სიამოვნებით! თქვენი ნამცხვრები განთქმულია ჩვენს ქალაქში (ჯდება სვამს ყავას, შემოდის თედო).
- ბეზია. აი, თედო, ბიძიამ საჩუქრად შევნიერი წიგნი მოგიტანა — „გრიბარია“ ჰქვია, მგონია.
- ნათესავი. „ჰერბარიუმი“, ქალბატონო!
- ბეზია. მეც ასე ვამბობ: „ჰრიბარი“ მეთქი. აჰა, წაიკითხე და შემდეგ დამეხმარები მე ბებერს: ბოსტანში კვლებს დამიბარავ, რომ თესლი ჩქარა ამოვიდეს.
- ნათესავი. მოგილოცავ, თედო! დღეს შენ 12 წლისა გახდი. ამ ხანში სპარტანელი ჭაბუკები უკვე მეომრები იყვნენ. იმედი მაქვს, რომ შენ წრეულს დასძლევ სიზარმაცეს და შკოლას გაათავებ. აჰა, წიგნი!
- თედო. (კითხულობს) „ბოტანიკურბაღში გასეირნება... ანუ სახელმძღვანელო...“ აჰ, სახელმძღვანელო! მე კი ინდოელების ამბავი მეგონა.



**ბებია.** რა უზრდელი ხარ, თედო! საჩუქრისათვის ყოველთვის მადლობას იხდიან.

**თედო.** ვმადლობთ. მხოლოდ სახელმძღვანელოები მეც საკმაოდა მაქვს... ბებია, შეიძლება ყავა..

**ბებია.** დაჯექი, თედო, მიირთვი! აი "შენ ფუნთუშიც.

**თედო.** (ქამს) სულ არაა ტკბილი. მხოლოდ ჩვენსაცხოვენ ამისთანა უგემურს.

**ბებია.** ვერაფერს ვერ გასიამოვნებს კაცი, თედო! მე ისე ვცდილობდი, ისე დავიღალე ცომის ზელაში.

**ნათესავი.** მე მგონია, რომ ფუნთუში ძალიან ტკბილიც არის. რომელი ქაბუკები როდესაც პალესტრაში სწავლობდენ, ტკბილეულობას სრულიადაც არა სჭამდენ.

**თედო.** მე ვფიქრობ, რომ თავის დაბადების დღეს ისინიც სჭამდენ ტკბილეულობას. (შემოდინან მეზობელი და მართა)

**მეზობელი.** აი ჩვენც გიახელით, მეზობელო, რომ მოგილოცოთ თქვენი "შვილიშვილის დაბადების დღე. მართამ წიგნისათვის ჩასანიშნავი აუქარგა.

**მართა.** მომილოცავს. აჰა, "შენ წიგნის ჩასანიშნავი.

**თედო.** ეს მჩვარი? "შენთვის დაიტოვე.

**ბებია.** შეხედე, რა უმადურია!

**ნათესავი.** მეგობრულ განწყობილებას ყოველთვის უნდა აფასებდეს კაცი, თედო!

**მეზობელი.** (თავის ქნევით). ტყუილად ცდილობდი ისე, მართა!

**თედო.** კარგი ერთი! მოიტა აქ "შენი წიგნის ჩასანიშნავი! ჩავდებ ამ "სახელმძღვანელოში", ორივე საჩუქარი ერთმანეთის შესაფერი: კარგი დაბადების დღე კია სწორედ!..

**ბებია.** "შენ არავითარი საჩუქრის ღირსი არა



ხარ, თედო! არაფერი არ მოგწონს. კაცი ვერაფრით ვერ ვასიამოვნებს. ნუ მიაქცევ, მართა, ყურადღებას! ჩემი ფუნთუშიც დაიწუნა.

მართა.

როგორ, ამისთანა შვენიერი ფუნთუში დაიწუნა?

ბებია.

აბა! აი, დაბძანდით და მიირთვიო! (ყველანი სხდებიან).

მეზობელი.

შვენიერი ფუნთუშია.

მართა.

ძალიან ტკბილია, სულ ღნება ბირში!

ათესავი

იცი, თედო, როდესაც შენი ხნის ვიყავი, ჩემი თავის სარჩოს თვითონ ვშოულობდი, და ჩემი დაბადების დღე არავის არ ახსოვდა. ჩემთვის რომ მაშინ ვისმე ამისთანა გემრიელი ფუნთუში გამოეცხო...

(თედო ღგება, იღებს ქუდს და სტვენით კარებისაკენ მიდის)

ბებია.

(თვალსრემლიანი). თედო, სად მიდიხარ, ბიჭო! სტუმრები გყავს, უნდა გაართო.

თედო.

ესენი შენი სტუმრებია და არა ჩემი შენ თვითონ გაართე!

მეზობელი.

რა საძაგელი ბიჭია!

მართა.

თედო, თედო, დარჩი! როგორ არა გრცხვენია ბებიას აჯაგრებ?

თედო.

პო და დარჩი თვითონ, მუზმუზელა! (მიდის) (ბებია ტირის)

მეზობელი

მე თქვენს ადგილას ერთ საათსაც არ გავაჩერებდი მაგას სახლში. ღორის მწყემსად მივაბარებდი.

ნათესავი

არა, თედო ძალიან ცნობის მოყვარე ბიჭია. მხოლოდ ერთობ თავხედია და უფროსების პატივისცემა არა აქვს. ეტყობა, რომ მის აღზრდას მამაკაცის მტკიცე ხელი აკლდა.

მეზობელი.

ტყუილად ფიქრობთ, რომ შინაური

- აღზრდა იყოს ამის მიზეზი. მე ვფიქრობ, რომ მიზეზი ჩვენი ახლანდელი სასწავლებლებია. ერთობ რბილი მასწავლებელნი არიან.
- ნათესავი.** (წყენით) აბა რასაკვირველია. ყოველთვის და ყველაფერში სკოლის მასწავლებელია დამნაშავე.
- ბებია.** ნუ იწყენთ, ბატონო! რასაკვირველია, მე თვითონ გავანებიერე ბავში. გთხოვთ კიდევ მიირთვათ ყავა. თქვენც, მეზობელო! (სუამენ)
- მეზობელი.** მე მითხრეს, რომ თქვენ დღეს ძვირფას სტუმარს ელით, თედოს დეიდას. იქნება კიდევაც იყო?
- ბებია.** არა, ჯერ არ მოსულა. მე ვფიქრობ, თედოც იმას უცდის; იმიტომ ვერ დგება ოთახში.
- ნათესავი.** ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნება მისი გაცნობა და უცხო ქვეყნების შესახებ მასთან ბაასი. მგონია, მთელი დედამიწის ზურგი შემოუფელია.
- ბებია.** დიად, ათ წელიწადზე მეტს მოგზაურობდა და, ესეც არის, ახლა დაბრუნდა უცხოეთიდან.
- მართა.** აი, ის ხომ არ არის? აივანთან გაჩურდა ეტლი. რა მორთული დეიდა ჰყოლია თედოს! (ყველანი დგებიან. შემოდის დეიდა და შემოაპყვება თედო).
- ბებია.** მშვიდობა თქვენს მობრძანებას, ძვირფასო! დიდი ხანია არ გვინახავხართ.
- დეიდა.** გამარჯობა, გამარჯობა! როგორა ხართ? ძლივს ვიშოვე დრო ჩემი დისწულის სანახავად. უკანასკნელად რომ ვნახე, სულ პაწაწინა იყო. მაპატივეთ, ბატონებო! მგონია, გიცნობთ, მაგრამ, სწორე ვითხრათ, არ მახსოვს, ვინ ბრძანდებით?
- მეზობელი** სამწუხაროდ, მე არ, მქონია პატივი თქვე-

ნი ნახვისა.

ნათესავი.

მე ბედნიერებადა ვსთვლი თქვენს გაცნობას. ერთი მითხარით, ქალბატონო, თქვენ ჩინეთში ბრძანდებოდით?

დეიდა.

ღიად ვიყავი ჩინეთში? ეს იქ, სადაც ხალხს ირიბად ჩასმული თვალეები და გრძელი ნაწნავები აქვთ? ღიად, მე ვიყავი იქ 1917 წ. ამერიკაში რომ მივდიოდი, გავლით. აბა, ახლა მითხარით, ბებია, როგორი ბიჭია თედო?

ნათესავი.

უკაცრავად, ქალბატონო, მართალია, რომ ჩინურ ენაში ხუთი ათასი ასოა?

დეიდა.

სწორედ გითხრათ, არ დამითვლია, არ ვიცი. ჩემი აზრით ჩინეთში ყველა ლაპარაკობს ინგლისურად, თუ ყველგან არა, სასტუმროებში მაინც.

ნათესავი.

რა საკვირველი განათლებული ხალხია!

დეიდა.

აბა, თედო, მოდი აქ! მინდა ახლო გნახო. მითხარი, კმაყოფილი ხარ შენი დაბადების დღით?

თედო.

მაინცადამაინც არა.

დეიდა.

რა ტომ?

თედო.

საჩუქრები უხვირობებია, სტუმრები — მოსაწყენი, ტკბილეულობა არ არის ..

დეიდა.

აჰა! მერე იცი, რა გინდა?

თედო.

რასაკვირველია, ვიცი.

დეიდა.

თუ იცი, მითხარი.

თედო

(გაჩუმებულია).

დეიდა.

აბა, რას გაჩუმებულხარ? საჩუქრები, სტუმრები და ტკბილეულობა არ მოგწონს. მითხარი, როგორი სტუმრები და რანაირი საჩუქრები გინდა? რასაც მოისურვებ, ყველაფერს მოგცემ.

თედო.

(გახარებული) ყველაზე უფრო მინდა შეიღდი მოწამლული ისრებით, დიდი შოკოლადის ტორტი...

- დეიდა. (იცინის) ყველა ეს რომ მოგცენ, ძალიან ბედნიერი იქნები?
- თედო. ერთბაშად ყველაფერს ვერ მოვიგონებ, პო, ტკბილურობას, რასაკვირველია, მეტს შევკვამ, კარგი ცივა სასრიალოდ...
- დეიდა. მეტი არაფერი გინდა?
- თედო. კიდევ მინდა ახალი ანკესი, კაცის სკალპი, ზღვაში მცურავის ტანისამოსი...
- დეიდა. კიდევ რა გინდა?
- თედო. (თვალცრემლიანი) ყვითელ წინწყლებიანი ქრელი ლეკვი, პოინტერი, ლამაზი, სამპირიანი დანა, ცოცხალი კუ... პო, ყველაფერს ერთბაშად ხომ ვერ მოვიგონებ?!.. როგორ შეიძლება, ორ წუთში სთქვას კაცმა, რაც უნდა. დარჩით ჩვენთან, დეიდა, ყავა მიირთვიოთ, ამასობაში მეც მოვიფიქრებ.
- დეიდა. არა, თედო, ვერ დავრჩები, არა მცალია. მხოლოდ ერთ რასმე კი გეტყვი: შემიძლია ერთბაშად გავაბედნიერო. მე ჯადოსანი წკებლა მაქვს. ინდოეთიდან წამოვიდგი. როდესაც რამე მოგინდება, სამჯერ გააქნიე ეს წკებლა, და სურვილი იმ წამსვე აგისრულდება. მხოლოდ ფრთხილად კი უნდა მოიქცე! რასაც გაიფიქრებ, იმას ვერც შესცვლი და ვერც გადასთქვამ.
- თედო. გმადლობ, გმადლობ, დეიდა! აი, საჭუქარი ამასა ჰქვია!
- დეიდა. მაშ გახსოვდეს: ფრთხილად მოიფიქრე, რაც, გინდა. აი, ჯადოსანი წკებლა ნახვამდის, ბებია! ნახვამდის, ბატონებო! (მიდის)
- (თედო ღვას უძრავად და წკებლას უყურებს).
- ბებია. აბა, თედო, ყველაზე უწინ ინატრე ჩვენთვისა და შენთვის ჯანმრთელობა და ბედნიერება! ამაზე უკეთესს რაღას ინატრებ.



- მეზობელი.** შენს ადგილას მხოლოდ ერთ რასმე ვინატრებდი: რაც ნაკლი გაქვს: ყველაფერი ერთბაშად თაიდან მოგწოვრდეს.
- ნათესავი.** რასაკვირველია, ჯადოსანი წიგნა ზღაპარია. მაგრამ ნამდვილად ჯადოსანი რომ იყოს, მე ვინატრებდი ერთბაშად ყველა ენის, ცოცხალისა და მკვდარის, და ყველა მეცნიერების ცოდნას.
- მართა.** თედო, ჩემო კარგო, ინატრე დედაჩემისათვის ახალი ფეხსაცმელები: სრულიად დაგლეჯილი აქვს, ახველებს ჩემთვის კი, თუ შეიძლება, ცისფერი აბრეშუმის ლენტი, ნაწინაუში გასაკეთებლად.
- თედო.** ეს ყველაფერი სისულელეა! აი, მე ამ ყავას დავლევ შოკოლადის ტორტით. ერთი, ორი, სამი! (ყველანი გაჩუმებულნი არიან. კარებზე ვიღაც არახუნებს) გააღე კარი, მართა; (მართა კარებს აღებს შემოდის შეკანდიტრე). აქ ცხოვრობს ბატონი თედო?
- მეკანდ.** დიად, მე ვარ თედო.
- თედო.** აი, შოკოლადის ტორტი რომ შემიკვთეთ, მომირთმევია. (ტორტს მაგიდაზე სდებს და მიდის).
- მეკანდ.** ნამდვილი სასწაულია!
- ყველანი.** ჯადოსანი წიგნა ზღაპარი არ ყოფილა.
- ნათესავი.** დედა, რა შვენიერი ტორტია! ცოტა მაქამე, თედო!
- მართა.** ჯამე, აქ იმდენია, რომ ყველას ეყოფა.
- თედო.** არა, მართა, მე და შენ ღარიბი ადამიანები ვართ. ჩვენ არ გვყავს მდიდარი დეიდა, რომ ამისთანა ტორტები შემოგვთავაზოს.
- მეზობელი.** მეზობელთან იმიტომ მოვედით, რომ მის შვილიშვილს მივეულოცოთ დღესასწაული და უბრალო შინაური ნამცხვარი ვქამოთ.



საძაგლად იქცევა თქვენი შვილიშვილი. წავიდეთ აქედან. მართა, ჩვენ აქ არ გვემყოფება! (მეზობელი და მართა მიდიან).

ბებია.

სწორედ არ მესმის, რა ეწყინა! მე რა შუაში ვარ. ისე წავიდა, რომ არც კი გამომემშვიდობა... თქვენ რას იტყვით?

ნათესავი.

(ცეკვავს) აჰ, აღმური ამდის...

ცეკვა რა ძნელია.

მშვიდობით, ნახვამდის...

ცეკვა რა ძნელია...

ერთი... ორი... სამი...

ერთი... ორი... სამი... (ცეკვით მიდის).

ბებია.

ესეც გაიქცა... ეს სულ შენი ბრალია, შენ საძაგელო! წადი, დაიქარგე აქედან!

თედო

არსადაც არ წავალ. მე დავლევ ყავას შოკოლადის ტორტით.

ბებია.

მე შენ ტორტს არ მოგცემ.

თედო.

რაო! ჩემ ტორტს არ მომცემთ? ერთი რომ გავაქნიო ჩემი ჯალოსანი წყებლა, მაშინვე გაქრებით.

ბებია.

ოჰ, შე თავხედო, შენა! რადგან ასე ურიგოდ იქცევი, ამ შოკოლადის ტორტს წაგართმევ და საკუქნაოში ჩავკეტავ. (ბებიას უნდა წაიღოს ტორტი).

თედო.

აჰ, თუ ასეა, ერთი, ორი, სამი!

(ბებია გაქრება)

თედო.

ბებია, ბებია, სადა ხარ? (დარბის ოთახში და ეძებს). აი, რა საუცხოო წყებლა მაქვს... რა გაეწყობა, ბებია თვითონ არის დამნაშავე... ახლა დავლევ ყავას ჩემი ტორტით. (დაისხამს ყავას, მოიტეხს ვებერთელა ნაქერ ტორტს და სჭამს), როგორც ვატყობ, ეს ტორტი დიდხანს არ მეყოფა. უნდა მოვიპარაგო ბევრი. (დგება) მე მსურს, რომ ყოველ თუთხმეტ წუთში სხვადასხვა ტკბილეულო-



ბამომიტანონ. (აქნევს წკებლას) ერთი, ორი, სამი! (კარს არახუნებენ).

თედო. მობრძანდით! (შემოდის შიკრიკი).  
შიკრიკი. აქ ცხოვრობს მოქალაქე თედო?  
თედო. მე ვარ თედო. რა გნებავთ?  
შიკრიკი. თქვენი ბრძანებით მე მოვიტანე ერთი


ურემი ტკილეულობა.  
თედო. რა და რა მოიტანეთ?  
შიკრიკი. აი, ბარათი!


თედო. (კითხულობს) მოქალაქე თედოს. აქ გეგზავნებათ თქვენი დაკვეთისამებრ 40873 ნომრით.

ნამცხვრები, სხვადასხვა . . . . .	19	კალათი.
მურაბები, სხვადასხვა . . . . .	40	ქილა.
ნაყინვი ვანილის, ნუშის, ანანასის, ნაღების და სხვა ხილეულობისა	5	კასრი.
ყურძენი . . . . .	10	ყუთი.
დაშაქრული ნარინჯი . . . . .	10	ყუთი.
შოკოლადის ძეხვები . . . . .	10	ყუთი.
ვოზინაყი . . . . .	10	ყუთი.
ხალვა . . . . .	50	ყუთი.
რახათ ლუხუმი . . . . .	59	ყუთი.
ნაღები . . . . .	2	კასრი.

შიკრიკი. სად დავაწყო, მოქალაქევ?  
თედო. აქ, აქ, მოიტა ჩქარა! (შიკრიკი მიდის),  
საყვარელო წკებლავ, აბა რამდენ სასწაულებს მოვახდენთ კიდევ!


(ფარდა)  
(დასასრული იქნება)





# თაკვი, ევაკვი, კუ და შველი.

(ოსმალური ზღაპარი).



ეო ერთი მდინარე. მისი მარჯვენა ნაპირი დიდი, უღრანი ტუთ იყო დაფენილი, მარცხენა ნაპირზე კი მინდორი იყო. მინდორს ირგვლივ ხეები და ჩირბეკები ერტეა. ამ მინდორზე ჰატარა სოროში ცხოვრობდა თაკვი-წრუწუნა. თაკვი ნაცრის ფერისა იყო, გრძელი და წვრილი კუდი ჰქონდა. სოროში მას ჰაწია შვილები ჰქავდა. დედათაკვს ძლიერ უეუარდა თავისი ღლაპები: ათობდა, აჭმევდა და სასეირნოდაც დაჰქავდა. ამავე მინდორში ერთ ხეზე ცხოვრობდა დიდი, შავი ევაკვი, მდინარეში კი უსარმაზარი, ბებერი კუ. კუს შემლო წეალშიაც და ხმელეთზედაც ცხოვრება. წეალში ჩაიურჭუმელავებდა, გაცურდებოდა, გაინავარდებდა და შემდეგ ამოვიდოდა ნაპირზე მხეზე გასათობად. წულის ნაპირზე ის თაკვს კაეცნო, შემდეგ ევაკვსაც და ორსავე დაუშეკობრდა. ცხოვრობდენ მმურად, შეკობრულად.

საღამოობით კუ, თაკვი და ევაკვი შეიურებოდენ ნაპირზე, ჩირკვს ქვეშ და ბასობდენ.

თაკვი უამბობდა მათ თავის შვილებზე—ღლანებზე, თუ რა მნელია მათი მოვლა და რა საუვარლებია ისინი. კუ უამბობდა, თუ როგორ ცხოვრობენ წყალში თევზები. მაგრამ უველასზე მეტს და საუკეთესო ამბებს ევაკვი იტეოდა. მას ხომ შორს ფრენა შეეძლო და ბევრ რასზე ხედავდა. ევაკვი უამბობდა კუსა და თაკვს, რომ მათ მინდორს იქით არის კიდევ ზატარა მდინარე, მდინარეს იქით—ჭალები, კიდევ იქით—დიდი ტყე, ტყეს იქით კი—სოფლები, სადაც ადამიანები ცხოვრობენ. ის ეზატყუებოდა თავის მეგობრებს სოფლისაკენ, მაგრამ კუს და თაკვს ემინოდათ შორს წასვლისა, თავის მიდამოს არ შორდებოდენ, რადგანაც იქაც კარგად ცხოვრობდენ. ასე ცხოვრობდენ ისინი მხიარულად, მეგობრულად და ბედნიერად.

ერთხელ, როდესაც თაკვი, ევაკვი და კუ ისხდნენ ნაპირზე და საუბრობდნენ, მდინარის მეორე მხრიდან რაღაც სმაურობა მოისმა. დაიწუეს იქითკენ ეურება და დაინახეს: ტუიდან უცებ რაღაც ვეებერთელა მხეცი გამოსტა, მდინარესთან მოვარდა, ჩახტა წყალში და მათკენ გამოსცურა. მეგობრებს შიშისაგან თავხარი დაეცათ: თაკვი სოროში შევარდა, ევაკვი აფრინდა და ხეზე შემოჯდა, კუმ კი წყალში ჩაუვინთა. შველმა ჩქარი ცურვით გადასცურა მდინარე, მეორე ნაპირს მიადწია და წულიდან ამოსტა. მას ტანი უკანკალობდა და ჩქარჩქარა სუნთქავდა, თითქოს ვიდაცას შეუძინებიაო. შველი წელის ნაპირზე გაჩერდა, თავი პირს დაუშვა და წყალში ცქერა დაიწყო... აი ასე,—წყალში კი კუ არის.. დაინახა ის შველმა და ათვალთვლებს. კუც შველს უცქერის, თვალებს არ ამოკრებს. ასე უცქეროდენ ისინი ერთმანეთს დიდხანს. კუ ხედავს,



რომ შველი მას არას ერჩის, და ეუბნება: „შენ, იქნება, წყალის დაღვევა გინდა, დალიე, შეიძლება!“ კუ თავისთავს წელის ჰატრონად სთვლიდა და ამიტომაც ნება დართო. შველმა იწყო წელის სმა... კუ გათამამდა და ნაპირზეც ამოვიდა, დაუწყო კითხვა შველს, თუ საიდან მოვიდა, ან რა მოუვიდა. თაკვმა გაიგონა ეს, სოროდან გამოძვრა და ეური დაუგდო... ევა-ვიც სიდან ჩამოფრინდა, — მიხვდა, რომ სამიში მსყცი არ იყო. ხედავს, რომ შველი რაღაც კარგ ამბავს ამბობს, მაღალ ხეზე კი ვერ გაიგონებდა. ასე მოიუარა ეველამ ერთად თავი. ეურს უგდებდენ შველს. შველმა უამბო მათ: „მე იმ დიდ ტყეში ვცხოვრობდი, წელის გაღმა ნაპირზე და კარგადაც ვცხოვრობდი: ვსტოდი, დავრბოდი მთა-ბორცვებზე, ვჭამდი ცვრიან ბაღახს, ვსვამდი ბროლივით ანკარა წყალს და თავის მეგობრებთან ვთამაშობდი. მაგრამ უეცრად საიდანღაც მოვიდა ტყეში თოფიანი კაცი და დაუწყო ჩიტებს სროლა; ჩიტები მოცვივოდენ მირს და იხოცებოდენ. მე ძალიან შევშინდი, ტყიდან გამოვიქეცი და ეს არის, აქ გაფრინდი, აღარ ვიცი, ახლა რა ვქნა, შინ დაბრუნებისაც შეშინია.“

— იცხოვრე ჩვენთან, — უთხრა კუმ, — აქ ადამიანები არ მოდიან, აქ ძალიან სიწინარეა...

უამბო ეველამ შველს, თუ რა მეუდროდ და მშვიდობიანად ცხოვრობენ ისინი აქ და ურჩიეს მათთან დარჩენა. შველიც დასთანხმდა. იწყო ცხოვრება მინდორში. ახლა უკვე ოთხი მეგობარი იკრიბებოდა საღამოობით წელის ნაპირზე ჩირკვთან და უამბობდენ ერთმანეთს რაც ნახეს, რაც გაიგონეს და როგორ გაატარეს დღე. შველს გული არ უდგებოდა, მუდამ შორს წასასვლელად მიიწევდა, უნდოდა ენახა,

თუ რა ტყე იყო იქ, მასლობლად იყო თუ არა ამ ტყეში მთები და ბორცვები, რომლებზედაც შეიძლება რბენა-ნავარდი. იქნებოდნენ თუ არა იმ ტყეში სხვა შველებიც... მაგრამ ამხანაგები არ უშვებდნენ.

— შენ შორს ნუ გარბიხარ, — ეუბნებოდა კუ, — რამე არ შეგეძითხვას. შეიძლება, იქ სადმე თოფიანთ კაცია იყოს დამალული. გახა შენ ჩვენთან არ გეცნოვრება?..

— როგორ არა, თქვენთან კარგად ვცხოვრობ, მაგრამ რაღაც მოწუენილობასა ვგრძნობ, — ეუბნებოდა შველი. — მიუვარს განავარდება შორს, შორს, მთებზე სტუნვა. მიუვარს ხალა-ახალი ადგილების ნახვა, აქ კი, თქვენთან, სულ ერთსა და იმასვე ვხედავ...

შველი უფრო და უფრო ნადვლიანდებოდა, არც მხდია-ნად სჭამდა... სულ შორს გაიუურებოდა... ევავს ებრალებოდა შველი, თაგვი დასცინოდა მას, კუს კი გული მოსდიოდა. ერთს სადამოს შეივარენ კუ, თაგვი და ევავი — შველი კი არსად ჩანდა... უცადეს, უცადეს... მინც არ არის, არ შოდის. შეწუნდენ მეგობრები, არაფერს არ ამბობენ, სულ აქეთ-იქით იუურებიან.

— ეჭ, — წამოიძახა კუმ, — აღბად შველს რამე სიფათი შეეძითხვა, რამე უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ ვუშველოთ მას. იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს კუმ სთქვა:

— მე მოვიფიქრე: ევავი წავიდეს, ფრენით დათვალეროს ეველა ტყეები, მინდვრები და ჭალები, სადმე თვალს მოჭკრავს შველს და გაიგებს, თუ რა მოუვიდა, მერმე შობრუნდება და გვიამბობს. ჩვენც რასმე ვიღონებთ და ვუშველითო. ეველა დაეთანხმა... ევავი გაფრინდა... კუ და თაგვი

დარჩენ ერთად... უცადეს, უცადეს ევაგს, შველის დარდი აწუსებდათ, სამ არა მოუვიდა რაო. ბოლოს მოფრინდა ევაგი და უამბო, რომ მან შველი იპოვა ტყეში, ბადეში განსლართული. ბადე მონადირეებს სეებსე გაებათ, ერთგან კარი დაეტოვებიათ. შველი რომ ბადეში მოხვედრილა, კარი მიკეტილა. შველი აქეთ-იქით ესეთქება, მაგრამ უნაუფოდ, ბადე მაგარი თოკისაგან არის მოქსოვილი და ვერ გასწვევტს. როცა დამინახა, ძლიერ გაუსარდა და მთხოვა რამე ნაირად მეშველა.

კუსა და თავეს ძლიერ გაუსარდათ, მაგრამ როგორ უნდა ეშველათ.

— აი, რა ვქნათ, — სთქვა თავემა: — წამიძღვეს ფრენით წინ ევაგი, მე უგან დავედევნები, გადავღრღნი ბასრი კბილებით ბადეს, გაჯათავისუფლებ შველს და ისევ აქ დავბრუნდებით.

— მეც თავეს დავედევნები, — სთქვა კუმ.

— არა, შენ სად შეგიძლია ჩვენთან ირბინო, შენ აქ დარჩი, მეგობარო! — უთხრა თავემა. — აი, როგორ ხელა დაცოცავ, ჩვენ კი სწრაფად უნდა მოვქუსლოთ და შველს ვუშველოთ.

კუ ძლიერ დაღონდა, მაგრამ რას იზამდა, არაფერი უთქვამს. თავი და ევაგი გზას გაუდგენ. ევაგი მიფრინავდა, თავი უგან სირბილით მისდევდა. ძალე გაჩნდენ შველთან. როგორ გაუსარდა შველს, როცა მეგობრები დაინახა! „უთუოდ მიშველიანო“ ფიქრობდა. თავემა მაშინვე მიჭო სელი ბასრი კბილებით ბადის ღრღნას, ძალე იბოღენი გამოღრღნა, რომ შველი ბადიდან თავისუფლად გამოვიდა. ეველას მა-



ლიან გაუხარდა. უნდათ სახლისაკენ მოჰკურცხლონ, ხედავენ, კუ მობობდავს.

— შენ რაღა გინდოდა?—ჰკითხეს ერთხმად.

— ეჰ, რა უკულონი ხართ! როგორ შემეძლო მე უთქვე-  
ნოდ იქ დარჩენა. გული არ მისვენებდა, ვაი, თუ რაღე ხი-  
ფათი შეგემთხვათ მეთქი, ავდექი და მეც თქვენკენ გამოვწიე.

— ნეტავი არ წამოსულიყავ, — უთხრა შველმა. — ჩვენ ას-  
ლა უსათუოდ უნდა მოვკურცხლოთ, შენ კი სირბილი არ შე-  
გიძლია, დაგვაბრკოლებ და კიდევ რაიმე ხიფათს შევეერებით.  
მონადირე მოგვისწრობს.

— ჩქარა, ჩქარა, თავს ვუშველოთ! — ვეირის ევანხალა. —  
ვეკრ, შორს რაღაც მოჩანს, მონადირესა ჰგავს... ის არის...  
ის... არიქა, თავს ვუშველოთ!.. ვეელას შეეძინა. თავგმა და  
შველმა სწრაფად მოკურცხლა, ევაგი ზევით აფრინდა, კუმ კი  
აღარ იცის, რა ქნას, ჩქარა სირბილი არ შეუძლია, თუმცა  
ძალიან კი ცდილობს. მოვიდა მონადირე, ნახა გადაღრღნი-  
ლი ბადე და გაუკვირდა

— რაღაც ნადირი გაბმულა, ბადე გაუღრღნია და წა-  
სულა, — სთქვა მან.

მიხედ-მოიხედა... დაინახა კუ.

— ნუთუ ეს ამის ოინია? აი, სასწაული! მე კი არ ვი-  
ცოდი, კუს თუ ბადის გამოღრღნა შეეძლო; ჩანს, რაღაც გან-  
საკუთრებული ჯიშის უნდა იეოს. მინ უნდა წავიევახო.

აიევახა, ჩანდო სანადირო ჩანთაში, რომელიც წელზე  
ჰქონდა სარტყელზე ჩამობმული. ეს ჩანთაც წვრილი ბაწრი-  
საკან იყო მოქსოვილი. ევაგი, თბევი და შველი ტეეში და-  
იმაღლენ, უნდათ გაიგონ, თუ რა მოუვა კუს. ევაგმა დაინა-  
ხა, მონადირემ რომ კუ ჩანთაში ჩაისვა და ამხანაგებს უთხრა.



— უნდა ვუშველოთ, — სთქვა შველმა, — ვერ დავტოვებთ ასე, ის სომ ჩვენი მეგობარია... ვიფიქროთ რამე..

დაიწეეს სჯა. მონადირე ამ დროს დასასვენებლად ჩამოჯდა კორდზე.

— მოვიფიქრე. — სთქვა ევაჟმა. — თავუნა, ისევ მენ უნდა გადაღრღნა მონადირის ჩანთა. მაგრამ როგორ? ჩანთა სომ მონადირეს წელზე აქვს მიბმული! როგორ მოვახერხოთ, რომ ჩანთა მიწაზე დასდოს?..

— აი, როგორ, — სთქვა შველმა. — მე დავენახები მონადირეს და ის მე დამედევენება. მე მას ხან განზე კავუსსლები, ხან დავეძალები, მონადირე დაიღლება სირბილით, ჩანთას მოიხსნის, ხელი რომ არ შეუძალოს წელზე ბარტუუნით და მიწაზე დააგდებს... ეველას მოეწონა ეს აზრი. ასეც მოხდა. შველის დევნაში მონადირე დაიქანცა, ჩანთა მოიხსნა და მიწაზე დააგდო... ევაჟმა თავის დაანახა, სხდაც ჩანთა ეგდო. თავი მიცუნცულდა, გადაღრღნა ჩანთა და გაათავისუფლა კუ. გამოძვრა კუ, მოირბინა შველმაც და დაიძაღუნ. უცდიან, თუ რა მოხდება. მონადირე დაიქანცა, უიმედოდ ხელი ჩაიქნია და შინისაკენ წასვლა დააპირა. მივიდა ჩანთასთან. ხედავს, გამოღრღნილია, კუ წასულა...

— სწორედ საკვირველია, იმ ვერანა კუს ჩანთაც გამოუღრღნია და წასულა, — სთქვა მონადირემ. — რაღაც საოცრებაა, კაიფიქრა მონადირემ და შეეშინა. — კუ ბადეს ღრღნის, თავს სულ ძავი ევაჟი დამჩხავის, შველი ხან დამეძალებს, ხან დამენახება... სწორედ რაღაც ფათერაკის ნიშანი უნდა იყოს, რაღაც მოჩვენებას ჰგავს, ეს ტეე ნამდვილად ჯადო-ტეე უნდა იყოს! სჯობია აქაურობას ძაღე გავეცალო! სთქვა და შინი-





## მწეერი.



იტ-ფიტ-ფიტ!.. ფიტ-ფიტ-ფიტ!!! გაისმის აქეთ-იქიდან გასაფხულზე მინდორში, როდესაც გაივლით ზღვასავით მდეღვარ უანებთან. ეს მამალი მწერის გალობაა. ამნაირი გალობით ეხმაურება ის დედალს. თუ ამ დროს ერთმანეთს შესვდენ, მამალი მწერები დიდ ჩხუბსაც მართავენ. მწეერი დალღასავით შეენივრად დარბის. ფრენა ეწარება. მისი საცხოვრებელი ადგილებია ეანები, ველუბი და საფხულის დაძლევეს — სიმინდები. დილით და შუადღის უკან ისინი დარბიან და საჭმელს ეძებენ, შუადღისას კი, სიცხეში, შინაური ქათმებივით მიწაზე წევან და იქექებიან. იკვებებიან სხვადასხვა თესლეულობით, უფრო კი

ფერტი უეუართ. მაგრამ არც უბრალო ბელახის თესლს იწუნებენ. სჭამენ აგრეთვე მწერებსაც.

შემოდგომა რომ დადგება, დიდი ნაწილი საქართველოში მეოფე მწერებისა ცხელი ქვეყნებისაკენ მიემკზავრება, ნაწილი კი მთელი წლის განმავლობაში აქ იმყოფება, მხოლოდ ზამთარს უფრო დაბალ და თბილ ადგილებში ატარებს. გაზაფხულდება თუ არა, მარტის ბოლო რიცხვებში მწერები კვესტუმრებიან ხოლმე. როცა ეანები იმდენად წამოიზრდება, რომ მწუერს მიგ დამალვა შეეძლება, ის ბუდის კეთებას იწყებს. ბუდე მიწაზეა მოწყობილი. ამოდრმავებულ ადგილებში მწუერი ჭფენს გამხმარ ბალახსა და ბუბბულს. ამხარ ბუდეში დედალი სდებს 12—20-მდე მოვეითალო და წაბლისფრად დაწინწკლულ კვერცხს.

სამი კვირის შემდეგ იჩეკებიან დაბუბბული და სასიარულოდ მომზადებული ბარტყები. მწუერს ბეერი მტერი ჰქავს: ქორი, მელა, და ეველახე უსამინელესი კი ადამიანი. ადამიანს ძალიან უეუარს მწერის გემრიელი ხორცი, მეტადრე ზაფხულის დამლევეს, როცა ის მსუქანია. ძართალია, ბალახებში და ეანებში მწერის ზოვნა ადვილი არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში ადამიანს ესმარება მექებარი ძალი, რომელიც ენოსვით ზოულობს ხოლმე მას. აი, ზაფხული გავიდა, ეანები და სიმინდები ადამიანმა დააბინავა, მინდორი გაშიშვლდა, და მწერებიც ცხელი ქვეყნებისკენ წასასვლელოდ ემზადებიან. შეგროვდენ დიდ კუნდებოდ და უეებით გაემკზავრენ მორს, —თბილი ქვეყნებისკენ.

პ. ხაუვარელიძე.

# ცოცუნია.

სიტყვ. შ. მღვიველისა.

მუს. თ. შავერზაშვილისა.

Canto.

ჩვენს ცი-ცუნას

Piano.

მზიარულად

*f* *p*

ვე-რა ნა-ხვით დღისით თაგვზე ში-ნა-ღი-რეს, სულ ერთა-ვად ტანტზე გდია,

არ ვახსენებ სახ-ლის დი-რეს. ხან პირს ი-მანს თა-თუ-ბი-თა, ხან უღ-ვა-შუბს



გა . ის . წო . რებს , ხან მოსტუნის სა . ძი . ლე . თა ბა . ლი . შებს და უყოფელა . რებს .



განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობის სალიტერატურო სამხატვრო სექციის ხელმძღვანელობით გამოცემულ წიგნების სია.

(ფასები ჩერვონცებით).

	ფასი
1. „ნაკადული“ 1921 წ. № № 1922 წ. № № თითო წიგნი	15 კ.
2. „ჯეჯილი“ 1921 წ. 1922 წ. № №	25 „
3. „ნორჩი ძალა“, — კრებული . . . . .	15 „
4. „სამი ამბავი“, — შიო მღვიმელისა . . . . .	10 „
5. „კოკროჭინა“, — დ. დონდუასი . . . . .	10 „
6. „ბელა ბეკეკა“ . . . . .	10 „
7. „შემოდგომა“, ფერად სურათებიანი წიგნი . . . . .	70 „
8. „დედაბერი, ტუჩა და მელია კუდი გძელია“ . . . . .	50 „
9. „ბავშვებს“, — გ. ლექსები ქუჩიშვილისა . . . . .	20 „
10. „ტყის ზღაპარი“, — მამინ სიბირიაკისა, თარგ . . . . .	20 „
11. „ტყის სურათები“, შიო მღვიმელისა . . . . .	25 „
12. „ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი“ . . . . .	30 „
13. „თავისუფალ ბავშთა სიმღერები“ . . . . .	2 „
14. „ქართული მოძრავი თამაშობანი“ . . . . .	80 „
15. „ტროადის ომი“, — ალ. მიქაბერიძისა . . . . .	80 „
16. „იგე-არაკნი“, — ალ. შირიანაშვილისა . . . . .	30 „
17. „საბავშვო პიესათა კრებული“ . . . . .	70 „
18. „ივანე სულელი“, — ზღაპარი. ლ. ტოლსტოისა . . . . .	15 „
19. „ლურჯი ფრინველი“ . . . . .	50 „
20. „ნაკადული“ 1923 წ. თითო № . . . . .	25 „
21. „ჯეჯილი“ 1923 წ. თითო წიგნი . . . . .	40 „
22. „ზამთარი“ — ფერადი სურათებით . . . . .	50 „
23. „უძველეს დროის ბავშვის თავგადასავალი“ . . . . .	45 „
24. „როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან“ . . . . .	25 „

1923 წ.

მიიღება ხელის მოწერა საუბრაწვილო დასურათებულ  
ჟურნალებზე:

მოზრდილ. „**ჭიჭილი**“ მე-XXXIV წ.

კამოდის ორ თვეში ერთხელ.

მცირეწლოვ. „**ნაკადული**“ მე-XIX წ.

კამოდის უოველთვიურად.

ჟურნალი კამოდის განათლების სახალხო კომისა-  
რიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის  
სალიტერატურო სამსახურო სექციის ხელმძღვანე-  
ლობით.

ხელის მოწერა მიიღება თვიურად.

ცალკე „**ჯეჯილი**“ 40 კ.

„**ნაკადული**“ 25 კ.

ქალაქ გარედ გაგზავნა ხელის მომწერის ხარჯზე.

მისამართი: ტფილისი, ლორისმელიქოვის ქუჩა, № 5, განათ-  
ლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „ჯეჯილის“  
რედაქცია.

რედაქტორი—ხარედაქციო კოლეგია.